კვლევითი პროექტი

მუნიციპალური ფინანსების მართვის სრულყოფის გზები საქართველოში

თბილისი

2025

საკითხის აქტუალობა

მუნიციპალური ფინანსების, ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების შემოსავლებისა და ხარჯების, საგადასახადო ურთიერთობის კვლევა და, ზოგადად, აღნიშნული პრობლემატიკა განსაკუთრებულ სიმწვავესა და ინტერესს იძენს ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში, როცა მიმდინარეობს განვითარებული ქვეყნების შესატყვისი ფინანსური სისტემის და შესაბამისად ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება-დამკვიდრების პროცესი. ზოგიერთ მკვლევარის მეცნიერულ ნაშრომში მეტ-ნაკლებად გვხვდება მოცემული საკითხის კვლევა, თუმცა ღრმა ფუნდამენტური კვლევა, სადაც მეცნიერულ დონეზე იქნება განხილული ზემოაღნიშული აქტუალური პრობლემატიკა, ქართულ სამეცნიერო წრეებში, ძნელად მოიძებნება.

თემის კვლევის ობიექტია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი, ტენდენციების დახასიათება დინამიკაში და განვითარების სცენარების შემუშავება, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება, რომლის გათვალისწინება დიდად წაადგება როგორც ადგილობრივ თვითმმართველ ორგანობს, ასევე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ სხვა პირებს.

კვლევის სტრატეგიულ მიმართულებაა განვსაზღვროთ საქართველოს რეალობაში ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების უმეტესობის ბიუჯეტების თავისებურებები ქრონიკული დეფიციტის პირობებში, არსებული არასასურველი ტენდენციის დაძლევის და თვითმმართველი ერთეულების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის გზები.

მიხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ფინანსების სრულყოფის საკითხები ნაწილობრივ შესწავლილია, ცალკეული მეცნიერების ან სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მხრიდან, ვფიქრობთ მოცემული სფერო ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოკვლეული. ეს პრობლემა განსაკუთრებით იგრძნობა მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის სიმწირის კუთხით, რაც მთლიანობაში აფერხებს ახალი თაობის (სტუდენტი ახალგაზრდობა) თვითშეგნების, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში დასაქმებისას. ის სასწავლო ლიტერატურაც კი, რომელიც მშობლიურ ენაზე არსებობს, ხშირ შემთხვევაში მოწყვეტილია რეალობას, არსებული სიტუაციის სწორად შეფასებას და მხოლოდ ზედაპირულად მიმოიხილავს არსებულ საკითხებს. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ლიტერატურის უმეტესობა თარგმნილია უცხოური წყაროებიდან, რაც ადგილობრივი მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზს არის მოკლებული.

წყაროების უმეტესობაში მუნიციპალური ფინანსური ურთიერთობები დახასიათებულია ისეთნაირად, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია, არადა ჩვენი ქვეყნის არსებული მდგომარეობა განსხვავებული და სპეციფიკურია, სხვა გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დგას თუნდაც ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობის, ტრადიციების, ღირებულებების, მენტალიტეტის და სხვა ფაქტორების გამო.

შესაბამისად, დასავლეთ ევროპის მაგალითის პირდაპირი კოპირება, ვფიქრობთ, სათანადო შედეგს ვერ გამოიღებს, რა თქმა უნდა, აუცილებელი და სასურველია არსებული გამოცდილების გაცნობა, გაზიარება, მაგრამ ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივი რეალობისადმი მორგება, სიტუაციის შესატყვისი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ბევრად დიდი ეფექტიანი შედეგის მომტანი იქნება.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია მუნიციპალური ფინანსების მართვის არსებული მდგომარეობის შეფასება და სრულყოფის გზების გამოვლენა საქართველოში საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლის გადასაწყვეტად დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ლიტერატურული წყაროების მოძიება და შესწავლა ქართულ და უცხოურ ენებზე (I)
- ინფორმაციის მიღება მუნიციპალიტეტების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ (I)
- ადგილობრივი ფინანსების მართვის საქართველოში არსებული გამოცდილების ანალიზი (II)
- ადგილობრივი ფინანსების მართვის უცხოური პრაქტიკის შესწავლა (II)
- ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი (III)
- ტენდენციების დახასიათება დინამიკაში (III)
- განვითარების მიმართულებების შემუშავება, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება (IV)
- ქვეყნის ფინანსურ სისტემაში მუნიციპალური დაფინანსების წყაროების შესწავლა და დივერსიფიცირება (IV)

კვლევის მეთოდოლოგია

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული თეორიული და ემპირიული კვლევის განხორციელება.

პირველ ეტაპზე იგეგმება ინფორმაციის მოძიებისა ბიბლიოთეკებსა და სასწავლო დაწესებულებებში ვიზიტი, რათა შეძლებისდაგვარად მოპოვებული იქნას ქართულენოვანი ლიტერატურა, ინფორმაცია თემის გრშემო. შემდგომ - უცხოურენოვანი ლიტერატურის გაცნობა, რისთვისაც გამოყენებულ იქნება როგორც სტამბური წესით გამოცემული სახელმძღვანელოები, წიგნები, სტატიები, დისერტაციები, სხვადასხვა პუბლიკაციები, ასევე ინტერნეტრესურსები.

სათანადო მასალის მოძიების და ინფორმაციის შეგროვების შემდგომ განხორციელდება აქტუალობის შესაბამისად მასალის თავმოყრა საკვლევი თემის დასამუშავებლად, აიგება კვლევის დიზაინის პირველადი მონახაზი სამომავლო ქმედებებისათვის.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება დოკუმენტების შესწავლა და ექსპერტული მეთოდი. წარმოდგენილი იქნება შერეული კვლევის ფორმატი - თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

აქტიური მუშაობა იგეგემება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან - ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მოსაძიებლად, ასევე დაგეგმილია ვიზიტები ფინანსთა სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში.

ოპტიმალური შედეგის მისაღებად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საუკეთესო უცხოური პრაქტიკის შესწავლა და ქართულ რეალობასთან მისადაგება.

განხორციელებული სამუშაოების შემდგომ ექსპერტული კვლევისათვის მიზანშეწონილია დარგის სპეციალისტების აქტიური თანამშრომლობა და კვლევაში ჩართულობა.

მიღებული საბოლოო შედეგების დამშავებისათვის მოიაზრება მონაცემების დამუშავებისა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების (Excel, SPSS) გამოყენებით ანალიზის თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების გამოყენება.

ოფიციალური დოკუმენტების, მოძიებული ინფორმაციის, სტატიტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ოპტიმალური დასკვნების და რეკომენდაციების განსაზღვრა.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

კვლევის დასრულების შემდეგ მომზადდება ლექციების კურსი სასწავლო დისციპლინაში „საჯარო ფინანსები“, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს პროფესორ-მასწავლებლებს, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსის მსმენელებს. შეავსებს ამ სფეროში არსებულ გარკვეულ სიცარიელეს.

ასევე გათვალისწინებულია მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დიდი დახმარებას გაუწევს შესაბამის სამინისტროებში, ასევე მუნიციპალიტეტებში აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს.

შემუშავდება რეკომენდაციები ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ბიუჯეტის შემოსავლების საკუთარი რესურსებით მაქსიმალურად უზრუნველყოფის და ხარჯვითი ნაწილის საინვესტიციო დატვირთვის ზრდის მიმართულებით, ადგილობრივი სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინებით.

სავარაუდო გუნდი:
გოგა გელიტაშვილი - თჰუ აფილირებული ასისტენტ-პროფესორი
მედეა ჭელიძე - თჰუ პროფესორი
თამარი ბერიძე - თჰუ პროფესორი
..... - თჰუ სტუდენტი